თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2025 წლის 5 ნოემბრის
მორიგი სხდომის
ოქმი № 16

ქ. თერჯოლა

5 ნოემბერი 2025 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: 1.სოსო ჩაფიჩაძე, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. სერგი ჯიხვაშვილი, 5. გოჩა ვერულაშვილი, 6. ომარ ჯიხვაშვილი, 7. ბადრი ბუცხრიკიძე, 8. ბიძინა ბუცხრიკიძე, 9. ნინო ოქრუაძე, 10. ზურაბ ჩხიკვაძე, 11. ლაშა ლანჩავა, 12. გიორგი ბარათაშვილი, 13. ეკა ბერძენიშვილი, 14. ლაშა გურგენიძე, 15. თემური ქოჩიაშვილი, 16. ნინო მახათაძე, 17. მაკა ყიფშიძე, 18. ნატო კვეტენაძე, 19. გიორგი თურქაძე, 20. ჯანო რობაქიძე, 21. ერეკლე კირკიტაძე, 22. ელისო მურადაშვილი, 23. იუზა უგრეხელიძე, 24. გრიგოლ გიორგაძე, 25. მამული კოვზირიძე, 26. გიორგი ყაზაიშვილი, 27. შალვა ჭანკვეტაძე, 28. გიორგი ბრეგაძე, 29. გიორგი ქასრაშვილი, 30. რამაზი ლორთქიფანიძე, 31. მირზა აფრიდონიძე, 32. მანუჩარ ფანჩულიძე, 33. გიორგი ბერეკაშვილი, 34. ვლადიმერ მაკარიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ნოდარი ხოხიაშვილი.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 35 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 35 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 34 წევრი
კვორუმი: 18 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ზვიად ბაზაძე.

სხდომა დაიწყო 12 ^{00} სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ^{50}სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282530261, 29.10.2025 წ.);

   /მომხს: ზ.ჩხიკვაძე/

2. ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282529463, 21.10.2025 წ.);

   /მომხს: ზ. ჩხიკვაძე/

3. ,,უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.292501513 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282530429, 31.10.2025 წ.);

   /მომხს: ლ.ლანჩავა/

4. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.29250158 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282530429, 31.10.2025 წ.);

   /მომხს: ლ.ლანჩავა/

5. ,,წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282530739, 03.11.2025) .

   /მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -34, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩხიკვაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია შემოსავლების გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.
ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 305.0 ათასი ლარით და შეადგენს 36645.3 ათას ლარს.
საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 305.0 ათასი ლარით სხვა შემოსავლები (ჯარიმები, სანქციები და საურავები).
ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 305.0 ათასი ლარით. მ/შორის:
წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსება გაიზარდა 40.0 ათასი ლარით.
საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების დაფინანსება გაიზარდა 20.0 ათასი ლარით.
დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 220.0 ათასი ლარით.
სოციალური პროგრამების დაფინანსება გაიზარდა 25.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-34, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №20, 5.11.2025 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ ჩხიკვაძემ საკრებულოს გააცნო ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების შესახებ -„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებით - 20650.0 ათასი ლარის ოდენობით (საკუთარი შემოსავლები 20350.0 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 300.0 ათასი ლარი).
2025 წლის 1 იანვრისთვის ნაშთი შეადგენდა 228.0 ათას ლარს. მათ შორის: საკუთარი (ადგილობრივი) შემოსავლები 119.0 ათას ლარს და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გრანტების სახით მიღებული შემოსავალი 109.0 ათას ლარს.

2025 წლის სამი კვარტლის განმავლობაში ბიუჯეტის ცვლილება 11-ჯერ განხორციელდა (მერის ბრძანებით 4-ჯერ და საკრებულოს მიერ 7-ჯერ). ბიუჯეტის მთლიანი საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 35970.3 ათასი ლარით (საკუთარი (ადგილობრივი) შემოსავლები 25107.7 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 10862.6 ათასი ლარი)).
2025 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის ფაქტიური შემოსულობები 27896.3 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური გადასახდელები 26149.9 ათას ლარს შეადგენს. 2025 წლის პირველი ოქტომბრისათვის ნაშთი დარჩა 1746.4 ათასი ლარი. მათ შორის საკუთარი (ადგილობრივი) შემოსავლები 1559.6 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 186.8 ათასი ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

გადაწყვიტეს: ცნობად იქნას მიღებული ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების შესახებ.

3.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.292501513 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის ბიუჯეტია 77 000 ლარი, სარგებლობს 23 უსახლკარო ოჯახი. წლის ბოლომდე პროგრამის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის საჭიროა გაიზარდოს პროგრამის ბიუჯეტი 8 000 (რვა ათასი) ლარით და გახდება 85 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 34, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.292501513 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29-29253092, 05/11/2025 წ.).

4.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ლაშა ლანჩავამ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.29250158 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების

პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამის ბიუჯეტია 320 000 ლარი. პროგრამით ისარგებლა 1011 მოქალაქემ. ამ დროისთვის პროგრამის ბიუჯეტი მთლიანად გახარჯულია. ამიტომ საჭიროა ბიუჯეტის გაზრდა 17 000 ლარით და გახდება 337 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -34, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.29250158 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29-2925309001, 05/11.2025 წ.).

5.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი - სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებით განმარტა, რომ ცვლილებით აღნიშნულ დადგენილებაში წარმატებული ახალგაზრდის კატეგორიას ემატება სასწავლო-საგანმანათლებლო საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობა.
წარმოდგენილი პროექტით მეორე მუხლს ემატება „დ" ქვეპუნქტი:
„წარმატებული ახალგაზრდა - თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 16-დან 26 წლამდე ახალგაზრდა, რომელიც მონაწილეობას იღებდა სასწავლო-საგანმანათლებლო საერთაშორისო ოლიმპიადაში, საქართველოს ან საერთაშორისო მასშტაბით გამართულ კულტურულ-შემოქმედებით, ინტელექტუალურ კონკურსში და მოიპოვა აღნიშნული კონკურსის/ოლიმპიადის დებულებით განსაზღვრული მთავარი პრიზი ან ტიტული.
ასევე ცვლილება შედის დადგენილების დანართის მე-4 მუხლის პირველ პუნქტში:
„1.წარმატებული ახალგაზრდის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს 1500 ლარის ოდენობით."

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -34, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7

ნოემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება №21,5.11.2025 წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, სოსო ჩაფიჩაძემ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 5 ნოემბრის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
სოსო ჩაფიჩაძე